6.2.21/10/744

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი **26.10.2015 წ.**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ნინო ხატისკაცის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ქურთას საავადმყოფო" წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ჭულუხაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მიუსაფარ პირთა დროებით თავშესაფარში განთავსებულ პირთა პირველადი სამედიცინო (ამბულატორიული) დახმარების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 ოქტომბრის №1918 და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 დეკემბრის №2243 განკარგულებების საფუძველზე).

2.2 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: მიუსაფარი პირების პირველადი სამედიცინო (ამბულატორიული) დახმარება, მათი დათვალიერება, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება სამედიცინო პერსონალის კომპეტენციის ფარგლებში, ეპიდემიის პრევენციის მიზნით მწვავე ინფექციური, პარაზიტული და სხვა დაავადებების იდენტიფიცირება, აგრეთვე მიუსაფარ პირთა პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში მათი გადაყვანა სტაციონარში სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის (112-ის) საშუალებით, გამონაკლის შემთხვევებში საკუთარი საშუალებით მათი გადაყვანის უზრუნველყოფა; მომსახურების ადგილზე ერთი ექიმის, ერთი ექთნის, ერთი სანიტარის 24 საათიან რეჟიმში მორიგეობის უზრუნველყოფა.

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **9000** (ცხრა ათასი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 მომსახურების საერთო ღირებულების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართი #1-ის სახით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.5 კლასიფიკატორის კოდი: 85300000 - სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები.

2.6 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2015 წლის 2 ნოემბრიდან 2015 წლის 2 დეკემბრამდე.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიუსაფარ პირთა დროებით თავშესაფარი.

4. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებით გაწეული მომსახურების შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.**

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

-უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

-დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

-მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.

-განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონდმებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით.

-წარმოადგინოს ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ, შემთხვევათა რეესტრის (ხელშეკრულების დანართი №2) შესაბამისად.

6.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

-დროულად და კეთილსინდისერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

-უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი" ადექვატური და დროული დაფინანსებაბა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

-დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკურლების შესრულებასთან.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №3) გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

7.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

8. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2015 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის (დანართი №3) გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

8.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (გარდა შესრულების ვადის გადაცილებისა) მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
9.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერის ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

13.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

14. ღირებულება

14.1მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

14.2მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

15.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 595 53 46 34; საკონტ. პირი: ბ-ნ გელა ჭულუხაძე; ელექტრონული ფოსტა qurta_hospital@yahoo.com.

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 557 15 75 16, ქ-ნ ნინო ლომინაძე ; ელექტრონული ფოსტა lominadze_nino@yahoo.com

15.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს. ~
15.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
16.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
16.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ნ. ხატისკაცი

მიმწოდებელი:

შპს „ქურთას საავადმყოფო“
მის: მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE55TB1107736080100003
ს/კოდი: 217881175

შპს „ქურთას საავადმყოფოს“ დირექტორი

გ. ჭულუხაძე

გასაწევი მომსახურების ერთი თვის (30 დღე) ხარჯთაღრიცხვა

#	გასაწევი მომსახურება მოიცავს:	ფასი (ლარი)
1	ექიმების ხელფასი	3000
2	ექთნების ხელფასი	2250
3	მაშველების (პრამედიკოსები) ხელფასი	1875
4	მთ. ბუღალტერი	125
5	უფროსი მედდა	125
6	მედიკამენტები	1200
7	საწვავი	200
8	სხვა	225
		სულ: 9 000 ლარი

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

ნ. ხატისკაცი

მიმწოდებელი:

შპს „ქურთას საავადმყოფოს“
დირექტორი

გ. ჭულუხაძე

დანართი №2

შემთხვევათა რეესტრი №

ანგარიშის პერიოდი 2015 წლის „ ‘‘ „ ‘‘-დან „ ‘‘ „ ‘‘-მდე

დაწესებულების დასახელება: „ ‘‘

ხელშეკრულების №

შემთხვ.	თარიღი	პაციენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები				მიზეზები და გამოსავალი
		სახელი	გვარი	პირადი ნომერი	ასაკი	წინასწარი დიაგნოზი (ICD 10)
1	2	3	4	5	6	7

დანართი №3

მიღება-ჩაბარების

აქტი №

ქ.თბილისი **——————————2015წ**

ჩვენ ქვემო ხელისმომწერნი ერთის მხრივ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ----------, ხოლო მეორეს მხრივ მომწოდებელი (ორგანიზაციის დასახელება) მისი დირექტორის---------- სახით ვადასტურებთ, რომ ----- წლის ხელშეკრულება #---------- საფუძველზე, მომწოდებელმა შემსყიდველს გაუწია მომსახურება ---------- (თარიღი) აღნიშნული ხელშეკრულების პირობებით დანართის შესაბამისად, სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ---------- ლარს. ------- (თვის დასახელება) თვეში განხორციელებული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა ------- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად). ნაზარდი ჯამით შესრულებულია ---------- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად). ანაზღაურებულია ---------- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად). მიმდინარე თვის ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა ---------- (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

"შემსყიდველი"
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების
საქალაქო სამსახური

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

„მიმწოდებელი"
შპს „ქურთას საავადმყოფო"

შპს „ქურთას საავადმყოფო"
სს „თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE55TB1107736080100003
ს/კოდი: 217881175

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შეთანხმებულია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი *დავით მორალიშვილთან*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი *ლევან თევზაიასთან*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი *გელა ჩივიაშვილთან*